გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე: „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ა. ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა. რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზია პოლიტიკურ სუბიექტებს შორის მიღწეული შეთანხმება, ასევე კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები, რაც გულისხმობს პარლამენტის ექვსი წევრისაგან ფრაქციის შექმნის შესაძლებლობას.

ა.ბ. რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტში ოპოზიციური პარტიებიდან წარმოდგენილი პარლამენტის წევრებისათვის ფრაქციის შექმნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

ა.გ. რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის შესაბამისად ფრაქციის შექმნისათვის საჭირო რაოდენობა ნაცვლად 7-სა განისაზღვრა პარლამენტის 6 წევრით.

ბ. რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა. რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან.

ბ.ბ. რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე. რეგლამენტის პროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება:

პირებს, რომლებზედაც გავრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება არ წარმოეშობათ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება.

ბ.ვ. რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან გადასახდელი არ დგინდება.

გ. რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა. რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

რეგლამენტის პროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ. რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ. რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში:

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

რეგლამენტის პროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და პავლე კუბლაშვილი.

დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

რეგლამენტის პროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და პავლე კუბლაშვილი.